[სტაჟირების კონკურსი ფიზიკის მასწავლებელთათვის!!!]

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი (ბათუმის მასწავლებლის სახლი) აცხადებს **საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებლების კონკურსს** შვეიცარიის ქ. ჟენევაში მდებარე ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში **(CERN - Organisation Européenne pour la Recherche Nucléaire)** ერთკვირიან სტაჟირებაზე გასაგზავნად.

კონკურსის შედეგად შეირჩევა ფიზიკის 5 პედაგოგი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საჯარო სკოლებიდან მათი სტაჟირების სრული დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებლის სახლი) მიერ.

კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილე:

1. უნდა იყოს მოქმედი **უფროსი** ან **წამყვანი** პედაგოგი;
2. კანდიდატი უნდა ასწავლიდეს **საჯარო სკოლაში;**
3. სტაჟირების პროგრამის ფარგლებში პედაგოგი **არ უნდა იყოს ნამყოფი** ზემოხსენებულ კვლევით ცენტრში.

წარსადგენი მასალა:

ჩატარებული გაკვეთილის გეგმა Power Point პრეზენტაციის სახით (8-10 სლაიდი/ თხრობის ხანგრძლივობა 10-12 წუთი) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე, როგორებიცაა *(აირჩიეთ სარეკომენდაციო საკითხებიდან ერთ-ერთი)*:

- **სამყაროს წარმოშობისა და განვითარების თანამედროვე მეცნიერული თეორიები;**
- **ელემენტარული ნაწილაკების კლასიფიკაცია და მათი ურთიერთქმედებების აღწერა;**
- **ფიზიკის როლი თანამედროვე საზოგადოების განვითარებაში;**
- **ატომის ბირთვის აღნაგობა, ბირთვული ძალები, ბმის ენერგია.**

საჭირო დოკუმენტაცია:

1. CV ქართულ ენაზე;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. დიპლომის ასლი;
4. სკოლის დირექტორის რეკომენდაცია.

გთხოვთ, პრეზენტაცია და ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტაცია წარადგინოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: **ajaraedufund@gmail.com**

მასალის წარდგენის ბოლო ვადაა: **2016 წლის 30 ივნისი (18.00 სთ.).**

კანდიდატების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:

1. **დოკუმენტაციის გადარჩევა;**

2. **გასაუბრება:** *პრეზენტაცია და მისი განხილვა.*